1939

N 3-4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრიელი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი № 3—4

მარტი — აპრილი

წელი

1934

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროსა
და განათლების სახ. კომისარიატის ჟურნალი
მცირეწლოვან ბავშვთათვის.

შინაარსი

		გვ.
1.	ფრინველის დღე, — იანისა	1
2.	ჰაი, შე ვერანავ, შენა, — ლ. საქარელისა	3
3.	პატარა ოსტატები, — ი. გრიშაშვილისა	6
4.	პენსიონერი მამა, — გ. კაჭახიძისა	7
5.	ლა ჩემი ბლალია, — შ. თაბუკაშვილისა	7
6.	ასეთია ჩვენი გივი, — ალ. ბილანიშვილისა	9
7.	გაზაფხული, — ნ. შველიძისა	9
8.	ჯეკი (რუსულიდან), — შ. გაფრინდაშვილისა	10
9.	მეგობრები, — ბ. ჩხაიძისა	13
10.	გაზაფხულის პირი, — გ. კალანდაძისა	15
11.	შეუჭამიათ, — შ. თაბ—ლისა	15
12.	თედოს ნაამბობი (დასასრული), — ლ. გეგეჭკორისა	17
13.	სათამაშოები ასანთის კოლოფისაგან, — ელისა	20
14.	გულადი კურდღელი, — ა. ბელიაევიდან	22
15.	აქლემი და ვირი, — გ. ლომთათიძისა	23
16.	ჭკვიანი ცხოველები, — ნ. ფარცნალელისა	24

სახელგამის პირველი სტამბა. პლეხანოვის პროსპ., №91.
მთავარლიტის რწმ. № ა — 187. შეკვეთა № 379. ტირაჟი 5000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრინველის დღე

ბზემ სხივები მიწას დასცა:
— გაიღვიძე, გაიღვიძე,
ჰა, გაზაფხულს ვაძლევ ხალხსა,
შენ ჯეჯილი უნდა მისცე.
გადნა თოვლი, ტირის, ტირის,
შეფერადდა მიწის პირი.
ძლიერი და დიდის შემძლე
ტრაქტორები მიდის ველზე.
მოგუგუნე რკინის ფორძონს
მიწა უქმად აღარ მოსწონს,
სამოქმედოდ ნაკვეთს ეძებს,
მიაწვინა ბელტი ბელტზე.
ვთესავთ მარცვალს, ვთესავთ ველზე,
ჯეჯილს ველით დღიდან დღეზე.

ბიბლიოთეკა

1352.

დავახატეთ ბოსტანს კვლები,
მაგრამ გაჩნდენ ძავნებლები:
ჭია-ღუა, ფოთლის ჩრჩილი
და მუხლუხო აქოჩრილი.
ზოგი ხტომით, ზოგი ცოცვით,
თითქოს წყნარი, თითქოს მორცხვი,
გაჩნდენ, გაჩნდენ მავნებლები,
შეაწუხეს ბოსტნის კვლები.
შეხეთ, როგორ მიდგენ ყლორტებს
და ფუსფუსი როგორ მორთეს!
დინჯი ხოჭო, — საქმის კაცი, —
პეპელა და მინდვრის მური
და კალია ულვაშებით, —
ეს ფაფხურა აზნაური, —
შეესიენ ბოსტნის მიწას,
ვინ უშველის, ვინ დაიცავს!
სისხლსა სწოვენ ნორჩს და მცირეს,
სტაფილოს და ჭარხლის ძირებს!
ვერ გაექცა ამ მტრის მახვილს
მინდორი და ხილის ბაღიც.
გატანჯეს და გააწვალეს,
მაგრამ, ვნახოთ, დაგვაცალეთ:
მოვესწრებით ცრემლიც ღვაროთ,
შეგმუსროთ და ამოგყაროთ!
გამოვუხმობთ ახლავ ფრთოსნებს:
— მეგობრებო, მოსპეთ, მოსპეთ
ეს უტვინო მავნებლები:
შეგვიწუხეს ბოსტნის კვლები!
შოშიები, კუდქანქალა
მერცხალი და ხის კოდალა
მოფრინდენ, რომ გაიხარონ,
ჭამონ და ჩვენც დაგვეხმარონ.

ბიბლიოთეკა

მაგრამ განა მარტო ბოსტნის?
ეჰ, მავნებლებს ვინ ჩამოთვლის!
დატვირთული ვითომც საქმით
აი კიდევ მინდვრის თაგვიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამოდენა ზიანს გვაძლევს,
ანადგურებს პურის მარცვლებს!
არამზადა ისე ფიქრობს, —
მისთვის ვთესდეთ ყანას თითქოს.
როგორ არა, კოლექტივი
სწორედ თქვენთვის თესავს ყანებს!
მუქთახორას არც თაგვებს და
არც კულაკს არ აჭაჭანებს.
არამზადა, გვპარავს, გვპარავს,
იმარაგებს მთელ ტომარას.
ზამთრისათვის — აქვე ბინა.
ზის და ცუცქნის არხეინად.
მაგრამ ზამთარს ნუ მოელი:
გვყავს ფრთამალი მინდვრის მცველი,
ღამით არის მისი რიგი,
ღამეშიც კი ხედავს იგი.
აბა მარცვალს რას ერჩოდი,
გადაგიხდის ახლა ჭოტი!
წრიპ! — ჩაავლო ჭოტმა ბრჭყალი,
ღ` ღახუჭა ო`ვგემა თვალი.
კაკა-კუკი ისმის ტყეში.
ვინ მუშაობს ამ სიცხეში?

ღილით იწყებს და მას მერე
ხმაურობს და არ გვასვენებს.
ხან უეცრად ხმასაც გაკმენდს,
თუ ამთავრებს რაღაც საქმეს.
ეს კოდალა თავის
როს
უკაკუნებს ხის ფუღუროს
და მავნებელ ხოჭო-მატლებს,
ხეს სიცოცხლეს ვინაც აკლებს,
მოხდენილად უნისკარტებს.
იგი ასე იკვებება,
მებაღესაც ეხმარება,
დაკიდულად ხეზე ადის
და იმზადებს მსუყე სადილს.

— ჭამე, ჭამე, გექნეს კვება,
ხეც ჯანმრთელად აყვავდება.
— ბზუ, ბზუ, ბზუ, ბზუ! — ცხელ
ზაფხულში
ვინ არ წყევლის ჯიუტ ბუზებს,
მაგრამ ყველამ ჯერ არ იცის
მავნებლობა დიდი მისი.
დაითხიპნის ფეხებს მტვერით
ჯანმრთელობის მკაცრი მტერი,
დასკუპდება შენს ბაგეზე,
თითქოს რაღაც მადანს ეძებს,
სტუმარია თითქოს შენი,
რომ მოგართვას მწარე სენი.
მიკრობები ცხოვრობს მტვერში,
ჯანმრთელობას რაც რამ ერჩის,
გამოჰყვება ფეხზე ბუზებს,
და შენც ოგი გიძღვნის უცებ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერცხალი და გულწითელა
ბუზებს სპობენ დაუთვლელად.
პატარებო, ამ ფრინველებს
გაუფრთხილდით ძალზე მეტად:
ისინი ხომ ფრენენ ჩვენში
მავნებლების გასაჟლეტად!
და ეცადეთ: მოსულისთვის
მზადებაში არვინ შერცხვეს,
გაუფრთხილდით ჩვენს მეგობრებს,
ნუ დაუმტვრევთ ბუდე-კვერცხებს!

იანი.

ჰაი, შე ვერანავ, შენა!

1

ყოველ დილით მოაჩანჩალებდა მიხანა გიგუაშვილი წყნეთიდან ნაცრისფერ სახედარს და ხრინწიანი ხმით აგინებდა მას. სახედარს ხშირად სცემდა მსხვილ სახრეს, და ისიც ულაზათოდ იგრიხებოდა. მიხანას კვალდაკვალ მოსდევდა მისი პატარა ვაჟი გიორგა.

გიორგასაც ეჭირა ხელში თავის სიგრძე სახრე და თუ სახედარს წამოეწეოდა, ერთს ისიც უთავაზებდა.

გიორგა პატარა ბიჭია, მისი მკლავები და ძალა მიხანას მკლავსა და ძალას ვერ შეედრება. ალბათ, ამიტომ ვერ აშინებს გიორგას სახრე ურჩ სახედარს.

გიორგა პატარაა, და ეს ყველასაგან დამორჩილებული ცხოველიც არ აფასებს, არაფრად აგდებს მისგან გადაკრულ სახრეს. ის მხოლოდ თავის გრძელ შავ ყურებს გააპანტურებს და ისევ ჩვეულებრივად განაგრძობს გზას.

— აი, შე მგლის კერძო, შენა! — მიაყვირებდა გიორგა უდარდელად მიმავალ სახედარს თავის ზარივით წკრიალა ხმით.

გიორგას რომ არ დაემორჩილებოდა, მერე მიხანა შეუტევდა, მსხვილ სახრეს თასმასავით გადააწნავდა თეძოებზე და თანაც თავისი ხრინწიანი ხმით მიაძახებდა საცოდავად გადაზნექილ სახედარს:

— მეც ხო გიორგა არა ვგონივარ, შე სატიალევ, შენა!

მიხანასა და გიორგას კარგად სცნობს გრძელყურა. მიხანას სახრე მწვავეა, თითქოს ტყავს ხევს, გიორგა კი ნელა დაუცაცუნებს და ამიტომ არ ეშინია იმისი.

ისინი ვაკეში მიდიოდენ.

ვაკეს ეძახიან მიდამოს უნივერსიტეტის შენობიდან თითქმის წყნეთამდის. ამ თვალუწვდენ ვაკეს ერთგულ მცველებივით დაჰყურებენ რამდენიმე აგურის ქარხნის მილები. აგურის ქარხნებს ზემოდან ვაკეს ჩამოფხეკილი და წვიმის წყლით დახრული გორაკები დასცქეროდენ.

ვაკეში იდგა რამდენიმე პატარა ქოხი, იმ გზის ნაპირზე კი, რომლითაც წყნეთელები ტფილისში შემოდიოდენ, რამდენიმე დუქანი იყო.

ისინი ჩამოიტანდენ ტფილისში თავიანთ სოფლურ ნაწარმოებს და გაჰყიდდენ დიდი ყვირილითა და ვაივაგლახით. საღამოობით, რაკი მზე გადაიხრებოდა, ხშირად ნახავდით ღვინით დამთვრალ გლეხებს. ბევრს ღამეებიც კი გაუთენებია ამ ვაკეში, როცა მთვარიანი ღამე დღესავით ქათქათებდა.

მიხანა გიგუაშვილიც ასე ქეიფობდა და ასე ჭამდა მაწონში ყვირილით აღებულ ფულს. შინ ხანდახან ცემით დაოსებული სახედარი მიასწრებდა, ბოლოს კი თვით მიხანა ჰბრუნდებოდა სოფელში „ჰაი... ჰუის“ ძახილით.

წყნეთელები უნივერსიტეტს რომ მიუახლოვდებოდენ, სახედრებს საპალნეს შეუსწორებდენ, მაწვნით სავსე ქილებს შეათვალიერებდენ, მერე ჩაახველებდენ, ყელს ამოიწმენდდენ და მოჰყვებოდენ ყვირილს.

წყნეთელები ტფილისში ყვირილით შემოდიოდენ.

— მაწონიი... მაწონიი...

ხუმრობისა და სიცილის ხასიათზე მოსული ბიჭები ატეხდენ მათ ყვირილზე გამაყრუებელ ყიჟინას და მაწვნის გაყიდვით დინტერესებულ გლეხს, რომელიც თავგამოდებით იძახდა „მაწონი, მაწონი!“ — მიაყვირებდენ:

— სასწორი... სასწორი...

ხანში შესული გლეხები ბიჭების ასეთ ოხუნჯობას ყურს არ ათხოვებდენ, ახალგაზრდები კი ერთი მაგრად, ლაზათიანად მიაგინებდენ, ბიჭები კიდევ გაიცინებდენ.

აი ასეთი ხმაურით გამოივლიდენ ხოლმე სიცხით გადატრუსულ ვაკეში წყნეთელი გლეხები. მათი ყვირილი მთელს არემარეს აყრუებდა.

გაჯავრებული ცოლი გაკაპასებით იტყოდა ხოლმე მეზობელ დედაკაცებში თავისი ქმრის შესახებ, რომელსაც ფული იშვიათად მოქონდა შინ:

— ადამიანის შვილს რომ ვირმა აჯობოს, სირცხვილი არ არის?! — მაგრამ ეს სიტყვები სხვა დედაკაცებსაც არ უკვირდათ, რადგან მათი ქმრებიც მიხანასავით გალეშილი ბრუნდებოდენ ხოლმე შინ.

ვაკე მათი უთავბოლო ქეიფის ნამდვილი ხელშემწყობი იყო, რადგან იქ ადამიანის ჭაჭანება არ იყო.

აიდგა თუ არა ფეხი პატარა გიორგამ, დედამ იგი მამას გამოაყოლა, გიორგაც შეეჩვია ყვირილს. მისი წკრიალა ხმაც ხშირად ისმოდა ტფილისის ქუჩებში და დილის მყუდროებას არღვევდა:

— მააწონიი!

ფულს პატარა გიორგა უფრო უჭერდა ხელს, ვინემ ხნიერი მიხანა...

2

პირველად ჩამოჰყვა მამას პატარა გიორგა ტფილისში.

ჯერ შორიდან ხედავდა ხშირ სახლებს და უკვირდა. ის ვაკეში ხშირად რჩებოდა ხოლმე მამას უკან, მაგრამ ისევ ჩქარა უმატებდა ჩანჩალს და დაწინაურებულ მამას წამოეწეოდა.

მიხანას მაწონი მიჰქონდა ტფილისში.

ისინი რაკი წყნეთს გამოშორდენ, ვაკეზე გრძელ სარტყელივით გაწოლილ გზას დაადგა მაწვნით დატვირთული სახედარი და თვალდახუჭულივით მოდიოდა ტფილისში.

მიხანა და გიორგა უნივერსიტეტს რომ გამოშორდენ, უცებ შემოყვეს თავი ქალაქში და თავზე ამაყად დასცქეროდათ მაღალი სახლები. გიორგას უკვირდა ასეთი ვეებერთელა სახლები, თავი მაღლა ასწია და ჰაერში იცქირებოდა.

გიორგას წყნარ სიარულს ბოლო მოუღო შურდულივით გამოვარდნილმა ტრამვაიმ, რომელიც შუა ქუჩაში უცნაურად მოცოცავდა.

ტრამვაი შეუჩერებლივ მისრიალებდა და ხანდახან აწაწკანდებოდა, თუ ვინმე წინ გამოჩნდებოდა. გიორგას სახედარს თავი დაეხარა და ღრმა ფიქრებში გართულივით მიეშურებოდა შუა ტფილისისაკენ. რამდენიმე წუთი კიდევ — და ტრამვაი და სახედარი ერთმანეთს უნდა დაეჯახონ. მიხანა შორს იყო დარჩენილი, ორი ქილა მაწონი ეკავა ხელში და ორ კაპიკზე ჰქონდათ ვაჭრობა, გიორგამ კი ადრევე შეხედა თავის სახედარს და მაშინვე მიხვდა, რომ მისი საქმე ცუდად მიდიოდა. ის გაიქცა სახედრისაკენ და თანაც ყვიროდა:

— ატ, ჩემო შავყურა!

ამის დაძახება მოასწრო და ხმაც ჩაუწყდა. იყვირე, პატარა გიორგა, რამდენიც გინდა: შენი ყვირილი არც შენს ხელში გამოზრდილ სახედარს ესმის და აბა ტრამვაი რას გაიგონებს!

ვატმანმა ადრევე შენიშნა შეუპოვარი ცხოველი და ისევ ტრამვაის დაათმობინა, თუმცა სახედარს მაინც გაჰკრა გვერდი. ის წაბარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა. გიორგას თვალებიდან ცრემლი სცვიოდა და ისე მიეალერსა შემთხვევით გადარჩენილ სახედარს.

მიხანა ხმამაღლა ყვიროდა:

— ჰაი, შე ვერანავ, შენა!

სამი ქილა იყო გატეხილი.

მიხანას არ იამა ეს ამბავი და სახედარს მაგრად უთავაზა სახრე.

გიორგას წამწამებზე ცრემლის კურცხლები ეკიდა და ხან საბრალო სახედარს შეხედავდა, ხან შეუბრალებელ მამას.

3

გიორგა გაიზარდა.

ძველი ვაკის სურათი მას ნათლად აქვს წარმოდგენილი, სადაც წინათ მხოლოდ ერთი მაღალი ლამაზი შენობა იდგა. აი, ამ შენობაში იყრიდა თავს მეცნიერებას დაწაფებული ათასეული ახალგაზრდობა.

გიორგას დავაჟკაცებისას მოტიტვლებულმა ვაკემ სულ სხვანაირი სახე მიიღო. წინათ თუ ადვილად შესამჩნევი მარტო აგურის ქარხნის მაღალი მილები იყო, ახლა იქ სულ სხვა რამ არის მიმზიდველი. თუ წინათ ტრამვაი უნივერსიტეტამდისაც ვერ მიდიოდა, ახლა იგი ვაკეში

შურდულივით გარბის, ტყვიასავით ჩაურბენს ქუჩის ორივე მხრით ახლად ამართულ მაღალ სახლებს და თითქმის გიორგას წყნეთამდის მიდის.

ერთხელ გიორგა ტფილისიდან ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა სოფლისაკენ. მასთან წყნეთელი ბევრი ახალგაზრდა და ხნიერი გლეხებიც კი მიდიოდენ.

— ჰეი, ბიჭო გიორგავ!

— რას გვეტყვი, ძიავ?!

— ბიჭო, ქალაქში ქალაქს აშენებენო, მართალია?

გაიკვირვეს გლეხებმა ეს სიტყვა და სიცილი დაიწყეს. ლაპარაკში ჩარევა ვანუა წყნეთელს რომ ეძახიან, იმან მოასწრო ყველას.

— ჰო, მართალია, ჩემო გაბრუშავ, არ მოსწონთ ძველი ქალაქი და ახალი უნდა ააშენონ.

— ოჰო-ჰო!.. ძნელია...

ღრმა განცდით წამოილაპარაკა გაბრუშამ. გიორგამ გაიცინა, როცა გაბრუშამ მძიმედ ამოიხვნეშა და მერე ჩაერია საუბარში.

— ჩვენს ტფილისში სტუდენტთა ქალაქს აკეთებენ. აქ მოდიან სწავლის მისაღებად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან და ისინი თავიანთი სახელობის ქალაქში მოთავსდებიან. სტუდენტთა ქალაქი აი ამ ვაკეში უნდა აშენდეს, აგერ რომ უამრავი მასალა ყრია.

— ეგ, ჩემო გიორგა, ბარე ორ დღეს არ აშენდება, — თქვა გაბრუშამ უიმედოდ და თანაც ხელი ჩაიქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიოდე წელიწადი გავიდა.

წყნეთში სხვანაირი ცხოვრება დატრიალდა, მაწვნით მოვაჭრე წყნეთელები კოლექტივში გაერთიანდენ და „მაწონის“ ძახილით ტფილისის ქუჩებს აღარ აყრუებენ.

ვაკეში სტუდენტთა ქალაქი გაშენდა. ან რა დარჩებოდა მუშის ფოლადისებურ მკლავს გაუკეთებელი?!

საბინაო ამხანაგობებმა ბევრი ახალი სახლი ააგეს.

ვაკე გალამაზდა. თუ იქ წინათ უნივერსიტეტის ერთი შენობა იდგა ყარაულივით, დღეს მრავალი ასეთი შენობა ააგეს. ვაკეში მართლაც რომ ახალი ქალაქი გაშენდა. ტფილისის უბნებს რომ დილაადრიან ვაკიდან წყნეთელები შემოაყვირებდენ, ახლა იმათი ხმა აღარ ისმის.

დავაჟკაცებული გიორგა დღეს კოლექტივში მუშაობს. ის ტფილისის ქუჩებში აღარ გაკივის და არც თავისი შვილები დასდევენ უკან.

გიორგას თვალწინ გამოიცვალა და გაიზარდა ტფილისი, ვაკე და წყნეთი.

ლ. საქარელი.

პატარა ოსტატები

ფიდომ უთხრა თავის დასა:
„ჩემო დაო, ჩემო ქეთო,
მე მინდა, რომ ძაფებისგან
ტელეფონი გავაკეთო.

მე კოლოფებს დავამზადებ,
შენ იშოვე სადმე ძაფი
და გვექნება საუბარი
უფრო კარგი, უფრო სწრაფი“.

დაფაცურდენ ოსტატები,
კოლოფს ძაფი გამობეს
და აწვდიან ერთმანეთსა
ჩვენი ქვეყნის ახალ ამბებს.

ი. გრიშაშვილი.

პენსიონერი მამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული მწყდება, რომ ვერ მიდის
ქარხანაში დილით
ჩემი მამა, ეგზომ კარგი,
გამრჯელი და ტკბილი!
ახლა ზის და მოცლილივით
ჩვენ, პატარებს, გვართობს...
გუშინ გემი გაგვიკეთა
მაღალი და ფართო.
უკან ძაფით მიამაგრა
პაწაწინა ნავი,
გემზე დასვა კაპიტანი
მრისხანე და ავი.
დღეს გვპირდება: აგვიშენოს
ნავსადგური კარგი,
დარბაზები მგზავრებისთვის
და ოთახი ბარგის.
ტკბილი არის ჩემი მამა,
თუმცა ზოგჯერ მკაცრიც,
მაინც დიდად საყვარელი,
მაინც მშვიდი კაცი.
უყვარს ჩვენთან ლაპარაკი,
ჩვენ გვანდომებს დიდ დროს...
მაგრამ ხშირად სხვა აზრი აქვს,
სხვა საქმეზე ფიქრობს:
უნდა ისევ ქარხანაში
რომ წავიდეს დილით,
ნახოს რიგი დამკვრელების
და საამქრო თბილი.

უნდა შრომა... მაგრამ, აი,
აღარ მოსდევს ჯანი,
არ მოქმედებს მისი მკლავი
ვაჟკაცური ძალით.
სწორედ მისთვის დაუნიშნეს
წელს პენსია მამას, —
უფასებენ გარჯილობას,
უფასებენ ამაგს.
ახლა ზის და მადლიერი
ჩვენ, პატარებს, გვართობს...
გუშინ გემი გაგვიკეთა
მაღალი და ფართო.

გიორგი კაჭახიძე.

ლა ჩემი გლალია

— აბა, მიყურე, ნუცა, როგორ გადავხტე!— ამაყად ეუბნებოდა გივი დას და კიბის მესამე საფეხურიდან ძირს აპირებდა ჩახტომას.

გივიმ ისკუპა და ჩახტა. დახტა ძირს და ისევ კიბეს მიაშურა, რომ ახლა მეოთხე საფეხურიდან ესინჯა გადახტომა, მაგრამ ნუცამ შეაჩერა.

— ერთი შენც იპრანჭები, რალა! დიდი საქმეა, თუ აქედან გადახტი. აბა, თუ ბიჭი ხარ, კიბის თავიდან ჩახტი ძირს!

გივიმ თვალით შეზომა მანძილი და შეშინდა: მეტისმეტად მაღალი იყო მისთვის კიბე.

— არაფერიც, შენ დიდი ხარ, მაგრამ შენც ვერ გადახტები!

— ვერ გადავხტები, ვერა? აბა მიყურე!

და ციალა ახტა კიბის თავზე, მაგრამ ამ დროს მამა წამოესწრო მათ.

— აბა რას შვრებით, ბავშვებო! ნუცა, შენგან არ მიკვირს, გამიგონია ამ სიმაღლიდან ხტომა! პარაშუტი მაინც გქონდეთ.

— რა გვქონდეს, მამიკო? — დაცქვიტა ყურები გივიმ.

— არ იცით, პარაშუტი რას ქვია? ახლავე გიამბობთ.

მამამ თავზე გადაუსვა ხელი გივის და დაიწყო:

— როგორ გგონიათ, ჩვენი სახლის თავიდან შეიძლება გადმოხტეს კაცი?

— უჰ, ხომ მაშინვე მოკვდება! — თქვა ნუცამ.

ამ დროს აეროპლანმა ზუზუნით გადაიარა მათ თავზე.

— აი, იმ აეროპლანიდან რომ ჩამოხტეს კაცი, ესეც შეიძლება, ბავშვებო, და კაცი არ მოკვდება. ამასწინათ შვიდი კილომეტრის სიმაღლიდან გადმოხტა ერთი კაცი...

— მერე, არ მოკვდა? — გაიოცეს ბავშვებმა.

— არ მომკვდარა, რადგან მას მიმაგრებული ჰქონდა პარაშუტი, რომელიც მაგარი ქსოვილისაგან არის შეკერილი. ის ქოლგასავით გაიშალა, და გადმომხტარი კაცი ნელნელა დაეშვა მიწაზე.

— ვაი, ციდან რა გადმომახტუნებს! — გაფართოებული თვალებით თქვა პატარა გივიმ.

მამას გაეცინა.

— ციდან კი არა, შენისთანა ბიჭებს ჩვენი სახლის თავიდანაც არ შეუძლიათ გადმოხტომა. აბა მიგდეთ ყური რა საინტერესო ამბავი გითხრათ.

— თქვი, მამიკო, თქვი!

— ლენინგრადში არის ოთხსართულიანი სახლის სიმაღლე კოშკი, იმის თავზე მიმაგრებულია უზარმაზარი გაშლილი ქოლგა — პარაშუტი. კიბით ადიან ამ კოშკზე ისინი, ვისაც სურს რამდენიმე წუთით ფრინველად გადაიქცეს.

— ფრინველად გადაიქცეს? — გაოცდა გივი.

— ჰო, ესე იგი, ვისაც სურს იმ კოშკიდან, 20 მეტრის სიმაღლიდან, ძირს ჩამოფრინდეს პარაშუტით. მიამაგრებენ პარაშუტს, და ისიც გადმოხტება. მაგრამ ეს ადვილი როდია. ზოგი ისე შეშინდება, როდესაც ძირს ჩაიხედავს, რომ საჩქაროდ იხსნის პარაშუტს და კიბით ჩადის

ძირს. სხვები კი ამ დროს სიცილით კვდებიან, იმ მშიშარას დასცინიან.

— მერე, მერე? — ვერ ისვენებდა გივი.

— მერე ის, რომ ერთ დღეს იქ მივიდა შენისთანა პატარა ბიჭი და ამოიჩემა, გინდა თუ არა პარაშუტი მომაბით, უნდა გადავხტეო. მართლაც მოაბეს. გადახტა, გადახტა, მაგრამ, რადგანაც მჩატე იყო, ჰაერში ჩამოეკონწიალა, მიწამდის არ დაუშვა პარაშუტმა.

აფართხალებს ბიჭი ფეხებს, კივის, შეეშინდა, მაგრამ რა ქნან. დაფაცურდენ. აქეთ ეცენ, იქით ეცენ, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს. ბოლოს, როგორც იყო, თოკი მოსდვეს პარაშუტს და ბავშვი ძირს დასწიეს. სასაცილო სანახავი იყო ჰაერში მოფართხალე ბავშვი, „ვაი დედა, ვაი დედას“ რომ გაკიოდა.

ბავშვებმა გაიცინეს, მამა სახლში შევიდა, გივი კი ისევ კიბეს ეცა. მესამე საფეხურიდან გადმოხტომა ახლა არაფრად არ ეჩვენა და ცალი თვალით ცას აჰხედა.

— იქიდან თუ გადმოხტა კაცი, მე კიბის თავიდან ვერ უნდა გადმოვხტეო? — იფიქრა მან.

აი, დადგა კიბის თავთან, მოემზადა გადასახტომად, მაგრამ გული შეუშინდა: მაღალი იყო.

დაღონდა. თან ნუცას კისკისმა გააბრაზა.

— ეე, შენ ჩამოხტები ციდან? კიბის თავიდანაც ვერ გადმომხტარხარ!

გივის უცბათ რაღაც მოაგონდა, თვალები გაუბრწყინდა და სახლში შევარდა. ცოტა ხნის შემდეგ ის ქოლგით დაბრუნდა, გაშალა და სანამ ნუცა რაიმეს თქმას მოასწრებდა, კიბიდან გადახტა.

ქოლგა სუსტი გამოდგა, გატყდა, ჩვენმა მფრინავმა ძირს მოახდინა ბრაგვანი და ღრიალი მორთო.

შეშინებული დედ-მამა გარეთ გამოვარდა, მივარდენ გივისთან, ის კი თვალცრემლიანი ლულლულებდა:

— ლა ჩემი ბლალია, ლა, პალაშუტი გამიტყდა!

შ. თაბუკაშვილი.

ასეთია ჩვენი გივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექტივში თუ სკოლაში
ყველა კარგად იცნობს გივის,
სწავლაში რომ დამკვრელია
და წითელი დაფის გმირი.

ფრიადებზე სწავლობს საგნებს,
პირველია რაზმში თითქმის,
კარგზე მეტი მის შესახებ
მართლაც არაფერი ითქმის.

გაკვეთილებს სულ არ აცდენს
(ამის მოწმე არის ლილი),
თამაშობს და კიდეც ცელქობს,
არ გვინახავს მოწყენილი!

დილითაც არ აგვიანებს,
დისციპლინას მუდამ იცავს,
უწესრიგო ამხანაგებს
არიგებს და ხშირად კიცხავს.

ყველას უყვარს, ყველა აქებს,
იგიც ყველას ღიმით ჰხვდება,
დაარიგებთ, — გაგიგონებსთ,
მოგისმენსთ და მიგიხვდებათ.

სწავლის ტემპი და ხარისხი
უნდა მეტად აამაღლოს,
იგი იმათ ოდნავ არ ჰგავს,
ვინც სწავლაზე არა ნაღვლობს.

კარგად იცის: გაკვეთილებს
ვინც არ სწავლობს, ტყვილა აცდენს,
პიონერის და მოწაფის
საპატიო სახელს არცხვენს.

მისი ნიჭი, მისი ცოდნა
ბევრ ჩვენთაგანს ენატრება,
სუსტებსა და ჩამორჩენილთ
ასწავლის და ეხმარება.

გასულ წელს კი წერა-კითხვა
შეასწავლა ექვს კაცს მარტომ,
ეს გმირობა, ეს სახელი
მეგობრებში დღესაც ახსოვთ.

ჰიგიენაც მეტად უყვარს,
უსუფთაოდ ვერა ნახავთ,
სანიტარულ კომისიის
თვალსაჩინო წევრი გახლავთ.

კოლექტივშიც აქტივია,
ხელმძღვანელობს რგოლს და კუთხეს,
დაავალებთ — გააკეთებს,
პირობას არ გადაუხვევს.

ყველა აქებს, ყველას უყვარს
ეს პატარა სწავლის გმირი,
სანაქებო, მისაბაძი, —
ასეთია ჩვენი გივი!

ალ. ბილანიშვილი.

გაზაფხული

აბა სწრაფად მინდვრისაკენ,
ქეთო, სახლში რაღას ელი:
გაზაფხულმა მოგვიქარგა
ყვავილებით მინდორ-ველი!

ტყემ ჩაიცვა მწვანე კაბა,
მზე მხურვალედ მიწას ათბობს,
ჩიტუნების ტკბილი ხმები
გულს ახარებს, სმენას ატკბობს.

მინდვრად შრომობს კოლექტივი,
სიხარულის ისმის ხმები,
ტრაქტორის ხმას, მათ ყიჟინას
ბანს აძლევენ შორით მთები.

ჩვენც გავსწიოთ აბა სწრაფად,
მინდვრისაკენ ჰერი, ჰერი!
მოქარგული გვიცდის ველი,
მზე ანათებს ოქროსფერი!

ნ. შველიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯეკი

(რუსულიდან)

1

ჯეკი, სანამ საზღვრის მცველრაზმში მოხვდებოდა, უბრალო მეცხვარის ძაღლი იყო. დიდი, ღონიერი ტანით, ხშირი ბალნით და ვიწრო, მაღლა აცქვეტილი ყურებით მგელს უფრო წააგავდა, ვიდრე ძაღლს.

მას შეასწავლეს ყველაფერი, რაც აუცილებელია ყოველი სამხედრო ძაღლისათვის და შემდეგ საზღვარზე მოდარაჯე რაზმში გადმოიყვანეს.

ერთ კვირასაც კი არ გაევლო რაზმში მისი მოყვანიდან, რომ ჯეკმა ყველას დაუმტკიცა თავისი თავდადებულობა.

2

საზღვრის მცველი წითელარმიელების სახლი გამოცოცხლებული იყო: წითელარმიელების მორიგი ცვლა სადარაჯოდ გასასვლელად ემზადებოდა. ზოგიერთები ვაზელინს ისვამდენ ცხვირსა და ყურებზე, რომ ყინვისაგან არ დაზრომოდათ, ზოგნი კი შაშხანებს წმენდენ და გაზეთებს ათვალიერებდენ.

— დროა! — გაისმა სადარაჯო რაზმის უფროსის ხმა.

ხუთი წუთის შემდეგ გრძელი შარი წითელარმიელებისა თხილამურებით დაიძრა საზღვრისაკენ. ყველაზე წინ გარბოდა ჯეკი, რომელიც ხანდახან შეჩერდებოდა და დაუცდიდა წითელარმიელების წამოწევას.

ერთ ხევის პირას წითელარმიელების რაზმი შეჩერდა. უკანასკნელ რიგში მდგომი ორი წითელარმიელი გამოცალკევდა. სადარაჯოს უფროსმა მათ რაღაცა უთხრა, ისინი დარჩენ საგუშაგოზე, დანარჩენები კი დაიძრენ წინ.

უკანასკნელ საგუშაგოსთან სადარაჯოს უფროსი ჩვეულებრივზე დიდხანს შეჩერდა.

— აბა, ჯეკ, მშვიდობით! — ალერსით უთხრა სადარაჯოს უფროსმა. — დღეს შენ დარჩები სადარაჯოდ ამხ. ვასიასთან ერთად. ფხიზლად იყავი და გაუფრთხილდი ამხ. ვასიას.

ჯეკი ჭკვიანი თვალებით შეჰყურებდა სადარაჯოს უფროსს, თითქოს მისი სიტყვები უკლებლად ესმოდა.

— ნახვამდის, ამხანაგო ვასია! — მოუბრუნდა ვასიას სადარაჯო რაზმის უფროსი.

— ნახვამდის, ამხანაგო სადარაჯოს უფროსო!

სადარაჯოს უფროსი გაბრუნდა და მალე მიიმალა ხეებს შორის.

3

საგუშაგოზე მხოლოდ ვასია და ჯეკი დარჩენ.. ვასიამ განიზრახა საგუშაგოს შემოვლა. ჯეკიც მის გვერდით მირბოდა.

მოულოდნელად, პირდაპირ ჯეკის ცხვირწინ, ბუჩქიდან უზარმაზარი რუხი კურდღელი გამოხტა. ჯეკს უნდოდა გამოდევნება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წუთის გაფიქრება იყო, გაახსენდა თავისი მოვალეობა და რამდენიმე მსუბუქი ნახტომით წამოეწია ვასიას...

ჯეკს ეჩვენებოდა, რომ დღეს ციყვები თითქოს განზრახ დაბლა ტოტებზე დახტოდენ, მაგრამ ის მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

დაბნელდა.

ტყე მიყუჩდა, მხოლოდ მისი მყუდროება ზოგჯერ ირღვეოდა ყვავების ყრანტალით და ციყვების ტოტიდან ტოტზე გადახტომისაგან გამოწვეული ხმაურობით.

ვასია შეჩერდა ერთი უზარმაზარი ხის ძირში და დაიწყო ადგილზე ბაკუნი ფეხების გასათბობად. ჯეკი იწვა იქვე დაწყობილ თხილამურების გვერდით და თავისი ჭკვიანი თვალები ვასიასთვის მიეპყრო.

უცებ ჯეკმა ყურები ცქვიტა, წამოდგა, წაავლო ვასიას შინელის კალთას პირი და მოსწია.

ვასია მიიმალა ბუჩქებში... მისი გული აჩქარებით ძგერდა. ის გაფაციცებით ისმენდა ყოველგვარ ხმაურობას. შორიახლოდან თოვლის ჭრაჭუნი ისმოდა, ეტყობოდა, ვიღაც მოაბიჯებდა. ნაბიჯების ხმა სულ უფრო და უფრო გასარჩევი ხდებოდა, და ბოლოს ვასიამ დაინახა ორი ადამიანის ფიგურა. ისინი ჩქარჩქარა გადარბოდენ ხიდან ხესთან. ერთი მათგანი, თითქოს რაღაცა იგრძნოო, გაწვა თოვლზე და ყურადღებით დაიწყო არემარეს დათვალიერება.

ჯეკი მზად იყო სცემოდა მიწაზე გაწოლილს, მაგრამ ვასიამ არ გაუშვა და აიძულა წინანდელ ადგილზე დაწოლილიყო.

მეორე უცნობი ხეს მოეფარა; ვასიას ეშინოდა ჯეკს უდროო დროს არ დაეყეფა, ან არ სცემოდა უცნობებს, ამიტომ მან მაგრად მოუჭირა ჯეკს ცხვირზე ხელი. ვასია უცდიდა ხელსაყრელ დროს და როდესაც უცნობები ცოტა წინ წავიდენ, ჯეკს მიუთითა ერთერთ

შათგანზე, თითონ მეორეს გამოუმიზნა და დაუყვირა:

— შე-ჩერ-დი, თორემ გესვრი!

უცნობები გაიქცენ სხვადასხვა მხარეს და ხეებში მიიმალნენ.

ტყეში გაისმა შაშხანის მჭახე ხმა...

ჯეკი მალე წამოეწია გაქცეულს, დაახტა ზურგზე და დასცა ძირს. დაცემის დროს უცნობმა თავი ხეს შეატაკა და უგრძნობლად გაიშოტა.

ვასია ცდილობდა დაენახა, თუ სად მიიმალა მეორე უცნობი.

უცებ მახლობელი ბუჩქიდან გაისმა რევოლვერის სროლის ხმა...

ვასია წამსვე შემობრუნდა და გაისროლა იმ მიმართულებით, საიდანაც ხმა მოესმა.

ბუჩქებიდან მოისმა ყრუ კვნესის ხმა...

— აჰა, მოხვდა, — წამოიძახა ვასიამ, მაგრამ სიხარული ნაადრევი იყო. ბუჩქები კვლავ გაანათა რამდენიმეჯერ რევოლვერიდან გასროლამ.

რაღაცა ცხლად მოხვდა ვასიას თავზე, სქელი წებოვანი სითხე ჩამოსდიოდა და შუბლზე და ლოყებზე ჩაყოლებით დაუგუბდა საყელოში...

— დამჭრა წყეულმა! — კბილების ხრჭიალით წამოიძახა ვასიამ.

მაგრამ მსროლელი უკვე გარბოდა. ვასია გამოედევნა მას, თან სახიდან სახელოთი იწმენდდა სისხლს, რომელიც უხვად ჩამოსდიოდა. გაქცეულმა სირბილში მოიხსნა ჩანთა და ბუჩქებისაკენ გადისროლა.

— ჩანთა ავიღო თუ გაქცეულს ვსდიო — გაუელვა თავში ვასიას, მაგრამ გაქცეულის დევნა გადაწყვიტა...

გაისმა რამდენიმე გასროლა... ვასიამ იგრძნო, რომ დაჭრეს მკერდში. სირბილი გაუჭირდა, ფეხებს ველარ იღებდა რბილი თოვლიდან. თბილი ნაკადული სისხლისა გადმოსდიოდა მკერდიდან და ჩექმებში გროვდებოდა.

ტკივილებისაგან კბილებდახრჭენილი ვასია დასწვდა თოვლს, აიღო მუჭით და სახეზე მოისვა. ცივმა თოვლმა გამოაფხიზლა ის. ვასია მიეყრდნო ხეს, გაქცეული მიზანში ამოიღო და ჩახმახი მოსხლიტა...

უცნობი დაეცა.

ვასია ბარბაცით მიუახლოვდა დაცემულს.

— ადგილიდან არ დაიძრა, თორემ გესვრი — ძლივს ამოიხრიალა მან.

მაგრამ დაცემული არ იძროდა... ვასია უძლურად დაეცა მის გვერდით. თითქოს ძილში მოესმა ჯეკის შორეული მხიარული ყეფა და გრძნობა დაკარგა.

4

ვასია გონზე საავადმყოფოში მოვიდა.

— სადა ვარ? — თავის წამოწევით იკითხა მან.

— იწექით, ამხანაგო, დამშვიდებით, თქვენ მოძრაობა გაწყენთ, — მზრუნველობით უპასუხა მოწყალების დამ.

— სადა ვარ? — კვლავ იკითხა ვასიამ.

— საავადმყოფოში. მხოლოდ ბევრს ნუ ილაპარაკებთ, არ შეიძლება. აქ შენი ამხანაგები არიან და ყველაფერს გიამბობენ.

ვასიამ მხოლოდ ახლა შეამჩნია თავისი ლოგინის წინ სადარაჯო რაზმის უფროსი რამდენიმე წითელარმიელთან და ჯეკთან ერთად, რომელმაც, გაიგონა რა ვასიას ხმა, მიირბინა ლოგინთან, შედგა წინა თათებით მასზე და ხელების ლოკვა დაუწყო ვასიას.

— ჯეკ, მეგობარო, — გადაუსვა თავზე ხელი ვასიამ, რაღაცა მოაგონდა, გაიხსენა გუშინდელი შემთხვევა და იკითხა:

— რა ქენით, დაიჭირეთ?

— ჩვენ სროლის ხმა მოგვესმა, — უპასუხა სადარაჯო რაზმის უფროსმა. — გამოვეშურეთ, დავინახეთ, რომ ჯეკი ერთ უცნობს თავ-

ზე დასდგომოდა და განძრევის საშუალებას არ აძლევდა. იმ კაცის შეპყრობის შემდეგ ჯეკის წყალობით გიპოვეთ შენც და მეორე უცნობის გვამიც... ვიპოვეთ ჩანთაც, რომელშიაც აღმოჩნდა საიდუმლო დოკუმენტები: ორივე ჯაშუში ყოფილა. როდესაც გამოჯანსაღდები, მაშინ დაწვრილებით გიამბობთ, ახლა კი მღელვარება გაწყენს.

— წასვლის დროა! ავადმყოფს აწყენს ბევრი ლაპარაკი! მოაგონა მათ მოწყალების დამ.

— ახლავე! — უპასუხა სადარაჯო რაზმის უფროსმა და მიუბრუნდა ვასიას. — შენი და ჯეკის გმირობით ჩავიგდეთ ხელში ჯაშუშები, რომლებიც მოდიოდენ, რათა ჩვენს შესახებ ცნობები მიეწოდებიათ ჩვენი მტრებისათვის. თქვენი საქციელი სანიმუშოა! ნახვამდის!

— ნახვამდის! — წარმოთქვა ვასიამ. ნახვამდის, ჯეკ, ჩემო მეგობარო.

ჯეკი მივარდა ვასიას ლოგინთან და ჭრილობისაგან დასუსტებულ მებრძოლს ლოკვა დაუწყო.

— ჯეკ, ჯეკ! — იმეორებდა ვასია და ზურგზე ხელს უსვამდა ძაღლს, რომელსაც თვალებში სიამოვნება ეხატებოდა.

შოთა გაფრინდაშვილი.

მეგობრები

თიკოს სახლის ფანჯარა ბაღში გადიოდა. სუსხიან დღეებში, როცა ბაღში თამაში შეუძლებელი იყო, თიკო ფანჯარასთან დაჯდებოდა და წიგნებს კითხულობდა.

ერთხელ მთელი კვირა განუწყვეტლივ თოვდა. ქარი უბერავდა და ღამით ძალზე ყინავდა.

ბაღშ ქარმა იმოდენა თოვლი ჩაბუქა, რომ ბუჩქები, დაფნები და წყავები ქვეშ მოიქცია.

ბელურებს უკანასკნელი თავშესაფარი გამოაცალა თოვლმა. აღარ შეეძლოთ ტოტებზე ჩამოჯდომა და მწვანე ფოთოლქვეშ თავის შეფარება.

ნაღლა ტოტებიც თოვლით იყო შეფიფქული, როგორც ბამბით შეხვეული დაჭრილები.

ბელურები დაიმშენ. დაიწყეს ფრთხიალი და საკენკის ძებნა, მაგრამ გულქვა თოვლი და ნამქერი გადაყრილ ნაგავსაც ისე ჩქარა ფარავდა, რომ ბელურები გადაქექასაც ვერ ასწრებდენ.

უცებ ორი ბელურა თიკოს ფანჯრის მახლობელ ტოტზე შემოჯდა. საცოდავად აჟივლდენ.

ამ დროს თიკო ფანჯარასთან იჯდა და ფანქრით რაღაცას ხატავდა.

ჩიტების ჟივილი შემოესმა.

— მოიცადეთ, ჩემო მალხაზებო, დაგხატოთ!

გადასძახა მათ თიკომ. ფანქარი და ქაღალდი მოიმარჯვა. ანცი ბელურები კი ისე ფრთხია-

ლებდენ, რომ გადახატვა შეუძლებელი შეიქნა.

უცებ ორივენი ფანჯრის პირას დაფრინდენ და თავისი პაწაწუნა ნისკარტებით მინას დაუკაკუნეს.

— აჰა, თქვე ცელქებო, ჩემი სტუმრობა გინდათ? მოდით, მოფრინდით, გენაცვათ!

თიკომ ფანჯრები გააღო, მაგრამ ჩიტები შემოფრენის მაგიერ ბაღს თავს გადაევლენ და ღობეზე შემოსხდენ.

სამაგიეროდ თიკომ განჯინა გამოაღო, ხორბლის მარცვლებით პეშვი აივსო და ფანჯარაზე დაყარა.

პატარა ხანს შემდეგ ჩიტები ისევ მოფრინდენ. ჯერ შორს ჩამოსხდენ, მერე ახლოს მოვიდენ და თავიანთ ენაზე დაიჟღურტულეს.

— მოდით, ძვირფასებო, მოფრინდით!

შეეპატიჟა თიკო.

— ერიკ... ერიკ... არ დაგვიჭერთ?

— არა, არ დაგიჭერთ, ნუ გეშინიათ!

მიაძახა თიკომ და საკენკი კიდევ დაუყარა.

— ერიკ... ერიკ... კატის გვეშინია, იმ ვერაგის, თორემ შენი მეგობრობა გვესმის. ერიკ... ერიკ...

თიკომ ჭრელი კატა თავის პატარა ძმას გაუგდო მეორე ოთახში და თვით ოთახის სილრმეში შეჩერდა.

ჩიტები მოფრინდენ საკენკზე.

— ერიკ!! ერიკ!! იფ!! გემრიელია!! — დაიჟღივლეს ბეღურებმა და თავისი პატარა ფეხებით გადაქექეს საკენკი.

თიკო ყოველდღე უყრიდა საკენკს. წყვილი ბეღურა ისე შემოეჩვია ფანჯარას, რომ უშიშრად მოფრინავდენ. თიკო ყურადღებით ეკიდებოდა ჩიტებს. ყოველთვის ფრთხილად იყო, მაგრამ ერთხელ საშინელი ფრთხიალი მოესმა. ჩიტები შეშინებულიყვნენ.

როცა თიკო ოთახში შევიდა, დაინახა თეთრი კატა ფანჯარაზე შესული და საკენკის ახლოს ბრიალა თვალებით ჩასკუპული.

— აი, შე მუხანათო!

გაჯავრდა თიკო, კატას კისერში ხელი ჩაავლო და ცემით გააგდო.

კუდამოძუებული ციცუნია აჩხავლდა, აკნავლდა და იმ დღის შემდეგ ფანჯარასთან სანადიროდ წასვლა აღკვეთა.

ამის შემდეგ ჩიტები უფრო შეეჩვივნენ თიკოს. ოთახშიაც შემოდიოდენ. ახლა თიკო როიალზე უყრიდა საკენკს, და როცა ჩიტუნები სასიამოვნო ჭიკჭიკით ბრინჯისა და ხორბლის მარცვლებს შეექცეოდენ, თიკო როიალს უკრავდა.

ათასნაირად უჩლექდა ენას თიკო თავის ორ მეგობარს, ათასნაირად ეალერსებოდა. ჩიტებიც დილით ადრე მოფრინდებოდენ ფანჯარასთან და ჩამოსხდებოდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერიკ! ერიკ!

როგორც კი თოვლი აიღო, თიკოს მეგობრები სადღაც გაქრენ. შეერივნენ თავის გუნდს და გამოფოთლილ ხეებში დაფრიალებდენ.

თიკო დილიდანვე აღებდა ფანჯარას, მაგრამ ჩიტები არსად ჩანდენ.

— ეხ, უსინიდისო მეგობრებო, ზამთარში გინდოდით და ზაფხულში კი დამივიწყეთ!

ამბობდა გოგონა თავისთვის და როიალზე ფუნთუშა ხელებს აყოლებდა.

ერთხელ ორი ჩიტი შურდულივით დაეშვა და პირდაპირ თიკოს ოთახში შეფრინდენ.

— ვაშა, ძველო მეგობრებო! მოხვედით?

სიხარულით შესძახა თიკომ, მაგრამ ოთახში შემოფრინდა შევარდენიც.

ახლა კი მიხვდა თიკო, რად მოიგონეს ის მეგობრებმა.

ონავარი ფრინველი დააფრთხო და იქვე დამსხდარი მალხაზების გამასპინძლება მოუვიდა ფიქრად.

სანამ თიკო სამზარეულოდან დაბრუნდებოდა, ჩიტები გაფრენილიყვენ და იქვე ცაცხვის ტოტზე ისხდენ.

— ერიკ! ერიკ! შემოგვხედე! აი, აქა ვართ! — დაიძახეს ჩიტებმა.

თიკომ შენიშნა ძუისა და ბუსუსის ხვეულები.

— ბუდე! ბუდე! ვაშა, მეგობრებო, ჩემს მახლობლად რომ დასახლებულხართ! აბა ერთი თქვენი შვილებიც მიჩვენეთ!

— ერიკ! ერიკ!

დაიწრიპინეს ჩიტებმა, და ბუდიდან ბარტყებმაც ამოყვეს თავი. პირები დააღეს და აჭყლოპინდენ.

დედიკო და მამიკო, თიკოს მეგობრები, თითქოს თავის მფარველს მადლობას უხდიანო, ნისკარტებს სიხარულით მაღლა წევდენ და შვილებს დასტრიალებდენ.

ორი დღის შემდეგ დაფრენილი ბარტყები თიკოს ფანჯარაზე უშიშრად ისხდენ. თიკო იმათაც ისე ეალერსებოდა, როგორც იმათ დედიკოსა და მამიკოს, თანაც ეუბნებოდა: — აბა, გენაცვათ, კარგად, დაიხსომეთ, ზამთარი რომ მოვიდეს, თქვენც დედიკოსა და მამიკოსავით ჩემი სტუმრები იყავით.

ბორის ჩხეიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზაფხულის პირი

მიწა ჭრელ გულმკერდს გვაჩვენებს,
ველს ეღიმება მზიანს,
ტყეს ქორჩიოტა ამშვენებს
და ბუჩქის ძირებს ია.

ხევს — ნაკადულის შხუილი,
ოდებს — ყღურტული მერცხლის,
მინდორს — ფუტკრების ბზუილი,
სოფელს — საღამო ვერცხლის.

გოჭის ფრუტუნი — ეზო-კარს,
წიგნების კითხვა — ნიკას,
ნეკერის ტკვერა ტყის პირად —
წვერებცანცარა თიკანს.

რარიგ იცვალა ბუნება,
რარიგ უხარის ბაღებს!
ახალ წლის შემობრუნება
მოსავლის კარებს აღებს.

სივრცე ოშხივრით სველია,
პირმცინარ დღეებს იჭერს,
ხვალ-ზეგ მინდვრები ელიან
ჩვენს კოლმეურნე ბიჭებს.

გიორგი კალანდაძე.

შეუჭამიათ

ვასოს ძალიან უყვარდა ნადირობა. გამოსასვლელი დღის წინაღამეს ის თავისი ამხანაგებით მიდიოდა ხოლმე სანადიროდ. ერთხელ შულავერში წავიდა და თან წაიღო ხისაგან გაკეთებული იხვი. ის სულ ნამდვილ იხვსა ჰგავდა, შეღებილიც ძალიან ოსტატურად იყო. ბავშვებმა წასვლისას უთხრეს — ბევრი, ბევრი იხვი ჩამოგვიტანეო.

მეორე დღეს ღამით დაბრუნდა ვასო.

დილას ბავშვებმა მაგიდაზე ნახეს ხუთი დიდი იხვი და სიხარულით ხტომა დაიწყეს. დათრევდენ იხვებს და მეზობლებს უჩვენებდენ. მაგიდაზე იდვა ხის იხვიც.

— მამიკო, ეს ხის იხვი რაღად გინდოდა?

მაშინ მამამ უამბო მათ:

— შულავერში რომ ჩავედით, მდინარისკენ წავედით. ინათა თუ არა, აიშალნენ იხვები, დაიწყეს ერთი ადგილიდან მეორეზე გადაფრენა. ჩვენ საფარი მოვიწყვეთ, ჩავჯექით და ისე მივიმალეთ, რომ იხვებს ვერ დავენახეთ. ამ ხის იხვს ბოლოში მკედი გავუყარე, წყალში ჩავაგდე და მკედის ბოლო ჩემ საფართან გამო-

ვაბი. ერთიც ვნახოთ, მოფრინავს ორი იხვი. ხედავენ: წყალში ზის იხვი წყნარად, მაშასადამე, საშიში აქ არაფერია. დაეშვენ და მის მახლობლად დასხდენ. მეც ეს მინდოდა — დავუმიზნე თოფი და ვესროლე. მერე კიდევ მოფრინდენ, კიდევ, და ასე მოვკალი ხუთი იხვი.

— უჰ, რა ადვილი ყოფილა! მგელსაც მოკლავ, მამიკო?

— ჰო, მგელზე ნადირობა კი ძნელია. აი, ახლავე გაჩვენებთ ერთ წიგნს, სადაც წერია მგლებზე ნადირობის ამბავი.

მამამ მონახა წიგნი და წაუკითხა ბავშვებს:

— სოფელ მოხოვაიაში, ლენინგრადის მახლობლად, ერთი გამბედავი მონადირე ცხოვრობდა. ღამ-ღამობით იმ სოფლის ტყეში მგლები ყმუოდენ. ერთხელ იმ მონადირემ გადაწყვიტა მგლებზე სანადიროდ წასვლა. შეაბა ცხენი მარხილში, აიღო თოფი, ტომარაში ჩასვა პატარა გოჭი და წავიდა. თან თივით გატენილი ტომარა გამოაბა მარხილს მოგრძო თოკით. ტომარა თოვლზე ხოხავდა, მონადირე გოჭს ყურს უწევდა, და გოჭიც ჭყვიროდა და ჭყვიროდა. გოჭს ნაზი ყურები აქვს და არ უყვარს, როდესაც ყურს უწევენ.

ბავშვებს გაეცინათ.

— რა დააშავა გოჭმა, ყურებს რომ უწევდა!

— გოჭი რომ ჭყვიროდა, მისი ხმა მგლებმა გაიგონეს, იფიქრეს კარგი ვახშამი გვექნებაო, მაგრამ მარხილში მჯდომი კაცის ეშინოდათ. მათ შეამჩნიეს ტომარა, რომელიც მარხილზე იყო გამობმული, და ეგონათ — ნამდვილად იმაშია გოჭიო. გოჭი კი ჭყვიროდა და ჭყვიროდა: მონადირემ სულ დაუსრისა ყურები.

ბოლოს გაბედეს მგლებმა და ეცენ ტომარას.

— ბუხ! — გავარდა თოფი, და ერთი მგელი წაიქცა.

— მოკლა? აუჰ! — შესძახეს ბავშვებმა.

— ჰო, მოკლა. მგლების ხროვა გაიქცა. მონადირემ ძლივს გააჩერა დამფრთხალი ცხენი, თოფი მარხილში ჩადვა, ჩამოვიდა და მგლისკენ წავიდა. აიღო მგელი და მარხილს მიაშურა, მაგრამ ცხენს მგლის სუნი ეცა, დაფრთხა და გაქანდა. გამოედევნა ფერწასული მონადირე, მაგრამ რას დაეწეოდა...

— მერე, მერე? — გაფართოებული თვალებით იკითხეს ბავშვებმა.

— მერე ის, რომ... აი, დახედეთ სურათს.

— ვაი! შეჭამეს?

— ჰო, შეჭამეს. იმ მონადირეს თოფი ხომ მარხილში დარჩა, სხვა იარაღი არ ჰქონდა, დაესხენ მგლები და შეჭამეს. სოფელში რომ მივარდა ცხენი უპატრონოდ, სოფლელები გამოეშურნენ მისაშველებლად, მაგრამ ვერ მიუსწრეს. მგლებს კაციც შეეჭამათ და მოკლული მგელიც.

— შენც რომ შეგჭამონ მგლებმა? — აცრემლებული თვალებით თქვა პატარა გივიკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ გეშინია, შვილო, მე მარტო არ წავალ ასეთ საშიშ ნადირობაზე, იხვების კი არ მეშინია, ვერ შემჭამენ, — ღიმილით მიუგო მამამ.

მაგიდაზე ამაყად იჯდა ხის იხვი და ისე მისჩერებოდა მათ, თითქოს მგლებზე ნადირობის ამბავს ისმენსო...

შ. თაბ — ლი.

თედოს ნაამგოგი[1]

(დასასრული

3

— თუ ციტრუსებზე არ გიამბეთ ცოტა-ოდენი რამ, ისე, ამხანაგებო, ვერავითარ წარმოდგენას ვერ იქონიებთ აჭარისტანზე და მის თავისებურებაზე, — დაიწყო თედომ.

ერთი მოწაფეთაგანი, სახელდობრ, სოსო, ჭირვეულობდა, არ უსმენდა, ამხანაგებს სათამაშოდ ეზოსკენ ეზიდებოდა.

— ნუ გვიშლი, სოსო, ნუ გვაცდენ, ჩვენ კულტურული გართობა გვინდა ჩავატაროთ, შენ ეზოში ჩადი და რამდენიც გინდა იცელქე, — უთხრეს მას ამხანაგებმა.

სოსო წავიდა.

— ძლივს! აბა, განაგრძე, თედო, განაგრძე! — სთხოვეს ამხანაგებმა.

— მოდი, ჯერ ისევ ბათომზე ვთქვათ ცოტა რამ და შემდეგ გადავალ ციტრუსებზე, — დაიწყო თედომ და გულის ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო. აი, აქა მაქვს ჩაწერილი თანდათანობით ნახულ-გაგონილი და მეც ისე გიამბობთ, როგორც არის ჩაწერილი.

— კარგი, კარგი, თანახმა ვართ, — მიაძახეს აქეთ-იქიდან, — დაიწყე!

— ვინ ყოფილა ბათომში? — იკითხა თედომ.

— მე ვყოფილვარ.

— მეც ვიყავი!

— ვყოფილვარ, მაგრამ არ მახსოვს, პატარა ვიყავი!

— მე არ მინახავს.

— არც მე მინახავს.

— არც მე ვყოფილვარ!

— მე შარშან ვიყავი!

შეიქნა ლაპარაკი, ხმაურობა.

[1]) იხილეთ ჟურნალი „ოქტომბრელი", № 1.

— მოითმინეთ, მოითმინეთ! როგორც ეტყობა, უმეტესობა არ ყოფილა. დამშვიდდით! დამშვიდდით, ვეცდები ყველაფერი დაწვრილებით გიამბოთ! — უთხრა მათ თედომ და განაგრძო:

— რადგანაც ძალიან მინდოდა ბათომის ნახვა, მამას ჩამოვეკიდე, არ მოვეხსენი და ქობულეთიდან ბათომში წამიყვანა. ევროპული ქალაქია, ლამაზი, კოხტა, ფართო ქუჩებით. ზღვის ნაპირები ლამაზი აქვს. უჰ, რამდენი გემი, რამდენი პატარა კატერი, რამდენი დიდი და პატარა ნავია! ვითვალე, ვითვალე, მაგრამ ვერ მოვერიე და თავი დავანებე.

— გემში თუ იყავით, თუ დაათვალიერეთ? — ჰკითხა მას დათომ.

— ვიყავით, და მერე როგორ! მიგვიღეს, პატივი გვცეს, ყველაფერი ვნახე... გემში რომ შეხვალ, თავი ლამაზად მორთულ-მოწყობილ სახლში გეგონება. სისუფთავე, წესრიგი!

— მატროსები, მატროსები! — დაასწრეს თედოს.

— მატროსები კი არა, წითელფლოტელები, ჩასკვნილი მამაცი ბიჭები, ლონივრები, თავაზიანები. დამკვრელურად მუშაობენ, — განაგრძო მან. — ყველამ იცის თავისი წესი და რიგი! იმღერიან, თავაზიანად მიგვიღეს, თავაზიანად გაგვაცილეს.

— სულ ეს არის, გემებზე მეტს არაფერს იტყვი? — შეეკითხა მას გივი.

— ჩვენი პირობაა, რომ მე მოკლედ უნდა გიამბოთ ყველაფერი, რათა ამ დასვენების საათში ამოვწურო სათქმელი, — განაგრძო თედომ.

— ბათომი წინათ უფრო პატარა ყოფილა. აქ მაშინ მეფისდროინდელი სამხედრო პირები და ჩინოვნიკები ბატონობდენ, აჭარლები კი დაჩაგრულები იყვნენ. ისინი ან არ ცხოვრობდენ ბათომში, ან, თუ ცხოვრობდენ, მთელ თავიანთ სიცოცხლეს მეფის დამქაშების მონობაში ატარებდენ.

— ახლა, ახლა როგორლაა?

— მოთმინება იქონიე, ჩემო ციალა, — უთხრა თედომ, — და ყველაფერს გიამბობ: — ახლა ბათომის და მთელი აჭარისტანის ბატონ-პატრონნი აჭარლები არიან. ბათომის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე აჭარელია, აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე აჭარელი ფუხარა (ლარიბი) კაკის შვილია, განათლების სახალხო კომისარი აჭარელია და ასე სხვაც... წინათ ბათომში მარტო ერთი, და ისიც უცხოელი მილიონერის, ნობელის, ნავთის ქარხანა იყო. ახლი არის: ახლადგაყვანილი ნავთსადენი, ნავთის გადამმუშავებელი ქარხანა, ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის საღებავთა დამმუშავებელი ქარხანა, ჩაის მოწყობილობათა ქარხანა, სამკერვალო ქარხანა, შენდება აგრეთვე მრავალი სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხანა. მალე ბათომსა და მთელ საქართველოს ელექტროკვანძს თავის ენერგიას შეუერთებს აჭარჰესი. აქ არის ძალიან ლამაზი სანაპირო ბაღი, ბაღის იქეთ პლიაჟი, მოკენჭილი ზღვისპირი. მსოფლიოში განთქმულია ბათომის ბოტანიკური ბაღი, სადაც ბევრია ლიმონ-მანდარინ-ფორთოხლის ხე. სივრცით პატარა აჭარისტანს მრავალი ზღვის სანაპირო კლიმატური კურორტი აქვს: თვითონ ბათომი, რბილი, ზღვის ჰავით, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი და ჩვენი ნაცნობი ქობულეთი. ახლა აქ ფართოდ მიმდინარეობს საკურორტო მშენებლობა. მეორე ხუთწლედში, როგორც იქაურმა ჯანსახკომმა გვიამბო, საკურორტო მშენებლობაზე 14 მილიონი მანეთი დაიხარჯება... მერე კიდევ...

— ფუ! — თქვა თედომ, — არ კი გამომრჩა! — და ქაღალდს დააცქერდა.

— რა, რა გამოგრჩა?

— რა და საბინაო მშენებლობა! მუშებისათვის შესანიშნავ სახლებს აშენებენ. ძალიან ლამაზია სამსართულიანი ახლადაგებული საცხოვრებელი სახლი ნავთსადგურის მუშებისათვის. კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა ბათომზე. მაგარმ უკეთესია თვითონ ნახოთ: აი, მოვაწყოთ გაზაფხულზე ექსკურსია, წავიყვანოთ თან გამგის მოადგილე და ყველაფერს კარგად ვნახავთ...

— კარგი აზრია; კარგი იქნება, მოდი, ახლავე, ამ ცხელ გულზე ავირჩიოთ ექსკურსიის მომწყობი კომისია.

— ავირჩიოთ, ავირჩიოთ!

ცოტაოდენი კამათის შემდეგ აირჩიეს სამი ამხანაგი: თედო, გივი და ციალა.

— აბა, ახლა ციტრუსებზე გიამბობთ, — დაიწყო პატარა შესვენების შემდეგ თედომ, — მაგრამ...

— რა მაგრამ?

— რა და არ ვიცი, საიდან დავიწყო, — თქვა მან და ჩანაწერებს დაუწყო თვალიერება, — ისევ ის აჯობებს, რომ ჯერ ქობულეთში ნახულ ციტრუსებზე გიამბოთ და მერე ბათომში ნახულებზე. ამ შემთხვევაში ქობულეთი უფრო წინ არის ბათომზე.

— როგორ, ეს როგორ მოხდა?

— ეს, ჩემო ციალა, იმიტომ მოხდა, რომ ქობულეთის რაიონი უფრო ხელსაყრელია ლიმონ-მანდარინის მოსაყვანად, იქ ნიადაგი და ჰავა უკეთესია, სითბოც მეტია და...

— ჩაიც უკეთესია ქობულეთის რაიონში, — ჩაურთო სიტყვა ნუკრი კვანტრიშვილმა.

— მართალია, ჩემო ნუკრი, — განაგრძო თედომ. — ქობულეთის რაიონის ჩაი ყოველთვის უკეთესი ღირსებისაა, ვიდრე სხვა რაიონისა. ამ აზრისა არიან ამ საქმის სპეციალისტებიც. იცით, რა გვიამბო ქობულეთში ციტრუსების დიდმა სპეციალისტმა, ლიმონ-მანდარინის ტრესტის სანერგეების გამგე ალავიძემ?!

— რა გიამბო?

— მან თქვა, ამხანაგებო, რომ აჭარისატნში არსებულ მანდარინების ნარგავთა 62 პროცენტი ქობულეთის რაიონშია, დანარჩენები კი ბათომის რაიონში. აბა, ახლა ვინ იტყვის, რამდენი პროცენტი ყოფილა ბათომის რაიონში?

— 40, 50, არა, არა, 38!

— ნამდვილია. ასს რომ 62 გამოვაკლოთ, დარჩება 38, — დაასკვნა კიკნა ბუქურაულმა.

— ყოჩაღ, მთიელო, შენ პროცენტების გამოანგარიშებაც გცოდნია, — მიჰმართა მას თედომ და განაგრძო: — სანერგეს ამჟამად 7 ჰექტარი უჭირავს. სანერგე იმით არის საინტერესო, რომ აქ აღმოცენდება და იზრდება ლიმონ-მანდარინ-ფორთოხლები და სხვა ციტრუსები.

— შენ რომ ცეცხლის ალს მიეკარო, დაიტრუსები, — ჩაურთო ხუმრობით ლექსების მთქმელმა ნორა ქემოკლიძემ.

— სწორია, — სიცილით განაგრძო თედომ, — სწორია, მაგრამ იქ არც ცეცხლი იყო და არც ალი. იქ სპეციალისტმა ალავიძემ გვაჩვენა, თუ როგორ წარმოებს მუშაობა. ჯერ წარმოებს უჯიშოების თესვა, შემდეგ მათი გადარგვა (პიკირობა), მერე მას მოჰყვება მყნობა. მყნობა სამგვარია: 1) გაღვივებული კვირტით მყნობა; 2) მძინარე კვირტით მყნობა; 3) ყალმით მყნობა. — ყალმით მყნობა ბევრგვარია, — გვითხრა მან, — და გვაჩვენა რამდენიმე ასე დამყნილი ლიმონ-მანდარინი.

— რამდენი ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობაა? — ვკითხე მე მას.

— ოთხი, ჩემო კარგო, — მითხრა მან, — ცეცხლაურის, მუხა-ესტატეს, კვირიკეს და გონიოსი. ამას გარდა ციტრუსოვანთა პლანტაციები გაშენებული ჩაქვისა და სალიბაურის საბჭოთა მეურნეობაში. ეს მხოლოდ აჭარისტანში.

— როგორ, განა სხვაგანაც მისდევენ ლიმონ-მანდარინის მოყვანას? — გაკვირვებით ვკითხე მას.

— როგორ არა, ჩემო მეგობარო, ქობულეთის რაიონში, ფოთის მხარეს, სამეგრელოში, აბხაზეთში და სხვაგან. ბერვია როგორც საბჭოთა მეურნეობები, ისე კოლმეურნეობებიც, რომელნიც უვლიან ციტრუსოვანთა მცენარეებს: ლიმონს, მანდარინს, ფორთოხალს, გრეიფრუტს. ყოველი მათგანი სხვადასხვა ჯიშისაა, მაგალითად, ლიმონი: სქელკანა, თხელკანა, უხეშკანა და მედაროზა.

— არის თუ არა კიდევ სხვა სუბტროპიკული კულტურები ჩვენში? რომელი მათგანი ხეირობს? — ვკითხე მას.

— ჩვენში ძალიან კარგად იხერეიბენ საბალო და ტექნიკური კულტურები, — მიპასუხა მან, და მეც ფანქარი მოვიმარჯვე, რომ ჩამეწერა.

— ჩაწერე, ჩემო კარგო, ჩაწერე, მე არ ვიჩქარი, ნელა გეტყვი, და ისიც მოყვა: პომპელი, მუსი, კინკარი, იაპონური ხურმა, იაპონური მუშმალა, ანონა, ფეიხოა, პეკანი, ლაქის ხე, საპნის ხე, ქაფურის დაფნა, ევკალიპტი, ფანქრის ხე და მრავალი სხვა.

— კიდევ ბევრი სახელწოდების მცენარეები არსებობს სხვადასხვა ქვეყნებში? — შეეკითხე მას.

— როგორ არა, მეგობარო, მე ნახევარიც ვერ ჩამოვთვალე. ამ ჩამოთვლილთა შორის ეკვალიპტი უფროა გავრცელებული: აჭარისტანში არის 1000-ზე მეტი, ხოლო აფხაზეთში 4000-ზე მეტი ძირი ევკალიპტი.

— იქნებ თქვენ იცით, ძია, ლიმონ-მანდარინ-ფორთოხლის ნარგავების რაოდენობა საქართველოში? — ვკითხე მას.

— ყოჩაღ, პატარავ, შენ კარგი ცნობისმოყვარე ყოფილხარ; გეტყვი, — მითხრა მან და გაშალა უბის წიგნაკი: — აბა ჩაწერე: ლიმონის ხე 50.000 ცალი, მანდარინის — 1.350.000, ფორთოხლის — 21.000, გრეიფრუტის — 3.000, სულ 1.424.000 ცალი.

— ბარემ ისიც მითხარით, ჩემო ძია, რა მდგომარეობაა ჰექტარების მიხედვით! — სთხოვე მას.

— რის მიხედვით, რის მიხედვით?!

შეეკითხენ ამხანაგები თედოს.

— თქვენ მოგწყინდათ, ვატყობ, ციფრები, — მიჰმართა მათ თედომ.

— არა, არა, ბარემ დააბოლოვე! — უთხრეს მას.

— ლიმონი დათესილია 100 ჰექტარზე, — მითხრა მან, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებში — 80 ჰექტ.; მანდარინი — 2.700 ჰექტ., ფორთოხალი — 70 ჰექტ., გრეიფრუტი — 6 ჰექტ. ფოთის საბჭოთა მეურნეობაში. ფოთის გახსენებაზე უნდა გითხრათ, ჩემო კარგო მეგობრებო, ორიოდე სიტყვა კოლხიდის ჭაობების ამოშრობის შესახებაც.

— კოლხიდა! — ნეტავი სად არის ეს კოლხიდა? — იკითხა ნათელა ფოცხვერიამ.

— როგორ არ იცი, — აკი რუკაზე იმ დღეს მასწავლებელმა გვაჩვენა, — მოუჭრა მას კალე სანებლიძემ.

— მართალია! მასწავლებელმა ასე აგვიხსნა,—ჩაურთო სიტყვა ეთერი დონდოლაძემ,— შავი ზღვის პირას, ქობულეთიდან სოხუმამდის და ფოთიდან სამტრედიამდის მანძილი არის კოლხიდის ჭაობები, რომელსაც ახლა აშრობენ. ჭაობების ამოშრობის შემდეგ საქართველოს და საბჭოთა კავშირს შეეძინება 200 ათასი ჰექტარი, სადაც დაითესება ციტრუსები და მაღალი ხარისხის კულტურული მცენარეები.

— მართალია, ძია სპეციალისტმაც ასე მიამბო, — განაგრძო თედომ. — კოლხიდის ამოშრობა ძალიან შეუწყობს ხელს ამ მცენარეების გავრცელებას. მეორე ხუთწლედის დასასრულს, ე. ი. 1937 წ., უნდა მოიკრიფოს ნახევარი მილიარდი მანდარინი და ფორთოხალი, ხელს კი აი, ახლა უკვე მოკრეფილი იქნება 100 მილიონამდის.

— აბა, ამდენს ვინ დაითვლის, ან ვინ შეჭამს? ამას შეხედე! ნახევარი მილიარდი, — ეს გამოდის ხუთასი მილიონი! — გაიკვირვა თამრიკო სარბილაძემ.

— ჯავრი ნუ გაქვს, არ დაალპობენ, — ბრუნალიან. ლიმონი წამლისთვის გამოსადეგი — ბალია. მანდარინი გემრიელი საჭმელია, მასში ბევრია, თურმე, სასარგებლო ნივთიერება, — განაგრძო თედომ. — აქ უნდა ვთქვა, რომ ვიდრე ჭაობები დაშრება, დღესდღეობით, ციტრუსების მთელ ნარგავთა 68% არის აჭარისტანში, 19% — აფხაზეთში და 13% სხვა რაიონებში. ერთი კარგი სანერგე ბათომშიაც არის, მას განაგებს სპეციალისტ-აგრონომი იასონ გორდეზიანი. ეს სანერგე 10 ჰექტარზეა გაშენებული და ეკუთვნის ბათომის ქალაქის საბჭოს... მე და მამამ ეს სანერგეც დავათვალიერეთ.

— რატომ არ იკითხე, კიდევ სად მისდევენ ციტრუსების მოყვანას? ჰკითხა გივიმ თედოს.

— ვკითხე და სწორედ აი აქ მიწერია, — უპასუხა მას თედომ. — მაგალითად, აზერბაიჯანში, ლენქორანის რაიონის სოფ. ასტარაში არის ლიმონ-მანდარინის ერთი საბჭოთა მეურნეობა. სხვაგან თბილ ქვეყნებში ხარობს ციტრუსოვანი მცენარე — იაპონიაში, ჩინეთში, ამერიკაში, კალიფორნიისა და ფლორიდის შტატებში, ბრაზილიაში და ბევრგან სხვა ქვეყნებში.

ამ დროს უკვე დაირეკა, და ჩვენმა დამსვენებლებმაც ჯგუფის ოთახს მიაშურეს.

ლადო გეგეჭკორი.

სათამაშოები ასანთის კოლოფისაგან



ასანთის კოლოფისაგან ბევრი საინტერესო სათამაშოს გაკეთება შეიძლება. მაგ., თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ საბარგო ავტომობილი, გემი, მატარებელი, ტრაქტორი და ტრამვაი. ამ სათამაშოების გასაკეთებლად ბევრი რამ არ დაგჭირდებათ.

იშოვეთ ასანთის კოლოფები, მუყაო, ძაფის ცარიელი კოჭა, წებო და მაკრატელი.

ტრამვაი

აიღეთ კოლოფი, გვერდებზე დააწებეთ თეთრი ქაღალდი და დახატეთ ზედ ფანჯრები. კოლოფის შიდა ნაწილს მოაცილეთ ფსკერი და კედლებისაგან გააკეთეთ ტრამვაის ბაქანები. ბიუგელი მავთულისაგან გააკეთეთ, თვლები კი მუყაოსაგან, და ტრამვაი მზად იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საბარგო ავტომობილი

ორი ასანთის კოლოფი მიაწებეთ ერთიმეორეზე წინა კედლებით. ზევიდან დააწებეთ ორი შიდა ნაწილი კოლოფისა (ბარგის ჩასაყრელი და შოფერის ჯიხური), შემდეგ გაჭერით ერთი კოლოფი შუაზე და ეს ნახევარი კოლოფი დააწებეთ წინ (რადიატორი). თვლები მუყაოსაგან გამოჭერით. ასანთის ღერი და ზედ მუყაოსაგან გამოჭრილი წრე იქნება საჭე, და საბარგო ავტომობილიც მზად იქნება.



მატარებელი

აიღეთ ორი კოლოფი და დააწებეთ ერთიმეორეზე. ზევიდან დააწებეთ კოჭა (მილი), წინა კედელზე მიაწებეთ კოლოფის შიდა ნაწილი (მემანქანის ჯიხური). გვერდებზე მიაწებეთ მუყაოს თვლები. ასევე ორი კოლოფისაგან გააკეთეთ ტენდერი (დახედეთ ნახატს).



ტრაქტორი

კოლოფი, ოთხი წრე მუყაოსაგან (თვლები), საჭე ასანთის ღერისა და მუყაოსაგან — და ტრაქტორი მზად არის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ᲒᲔᲛᲘ

ორი კოლოფი მიაწებეთ ერთიმეორეზე წინა კედლებით, ზევიდან შუა ადგილას დააწებეთ კიდევ კოლოფი და ზედ კოჭა (მილი). ცხვირი და ბოლო გააკეთეთ კოლოფის შიდა ნაწილის კედლებისაგან.

ბავშვებო, ამ სათამაშოების გარდა თქვენ თითონვე გამოიგონეთ სხვა სათამაშოები. ნახაზი ან ნახატი გამოგონილი სათამაშოსი რედაქციაში გამოგზავნეთ.

ᲔᲚ.

ᲒᲣᲚᲐᲓᲘ ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲘ

ზის კურდღელი მაღალ მაგიდაზე და სალათს შეექცევა. უცებ საიდანღაც გაჩნდა საბავშვო დოლი, ჰაერში კიდია და ნელ-ნელა მოცურავს სწორედ მისი თავისაკენ.

კურდღელს არასოდეს არ ენახა დოლი. ნეტავ რა ცხოველია ეს? გვერდები მრგვალი აქვს, ბრწყინვალე, ზევით და ქვევით ბრტყელია, როგორც მაგიდა, თანაც მოძრაობს, მაშასადამე, ცოცხალია!

კურდღელმა თავი მიანება სალათის ღეჭვას, ყურები აცქვიტა და ალმაცერად დაუწყო ყურება დოლს.

დოლმაც, ალბათ, დაინახა, რომ კურდღელი მას უცქეროდა, შეეშინდა დოლს კურდღლისა და უკან დაიწია.

აღარ არის დოლი, დოლი გაიქცა. როგორც ეტყობა, ძალიან მშიშარაა დოლი!

კურდღელი დაწყნარდა და კვლავ სალათას მიეულხინა.

დოლი კი ისევ მოდის, ახლა გვერდიდან მოიწევს, სალათის გროვას უახლოვდება. ცხადია, ამ მრგვალ ბრწყინვალე მხეცს სურს სალათი წაართვას კურდღელს.

კურდღელმა კვლავ გადმოკარკლა თვალები და ყურები აცქვიტა. დოლი თითქოს შეაშინა ამ ელამმა თვალებმა და დიდმა ყურებმა და გაიქცა.

კურდღელმა თავი დაანება ჭამას, უკანა თათებზე შედგა და ხან დოლს უცქეროდა, ხან სალათს. ახალ მწვანე სალათს გეძიელი სუნი აქვს. კურდღელმა თავისი ორად გაყოფილი ტუჩი სალათისკენ გასწია, მაგრამ... დოლი ისევ წამოვიდა მისკენ, ახლა მეორე მხრიდან. არა ეს დოლი კარგად უნდა შეაშინოს, მეტს ვეღარ მოუთმენს კურდღელი. დოლი ხომ მშიშარაა!

კურდღელმა თავი ასწია და წინა თათები აათამაშა. შეეშინდა დოლს, ძალიან შეეშინდა და ჰაერში უცებ გაცურდა კურდღლიდან. აჰა! შეგეშინდა?! გაიქცა დოლი, თავს უშველა. კურდღელს ახლა სრულიად აღარ ეშინია მისი, წინა თათებიც მაგიდაზე დააწყო და არხეინად შეუდგა სალათის ჭამას. და ეს თავმომაბეზრებელი მშიშარა დოლი ისევ კურდღლის ცხვირწინ გაჩნდა. დაიცადე, ახლა კი ნახავ შენ სეირს! გულადი კურდღელი გაჩვენებს, რა მაგარი და გრძელი ბრჭყალები აქვს მას წინა თათებზე! გადახტა კურდღელი, ეცა დოლს და ზურგში დასცხო მას წინა თათები.

— ესეც შენ! ესეც შენ! ესეც შენ! — ურტყამს კურდღელი დოლს, თითქოს ნამდვილი მედოლე იყოს.

— ტრა-ტა-ტა! ტრა-ტა-ტა! ტრა-ტა-ტა! — შიშით გაიძახის დოლი.

ეჰე, აწ კი ვეღარ გაბედავ კურდღლის შეწუხებას!

გაიქცა დოლი, ალბათ, აღარც დაბრუნდება არასოდეს, აღარ გაბედავს აქეთ წამოსვლას.

— მაშ! ასე ვიცი მე! — ამაყად იცქირება კურდღელი აქეთ-იქით.

ოჰ, რა ლონიერია კურდღელი, რა გულადია ის! უცნობ ბრწყინვალე ცხოველსაც კი შეეშინდა მისი! კურდღელმა სიხარულით კუდის ქნევა დაიწყო. ისე აქნევს კუდს, თითქოს საათის ქანქარაა.

— ყოჩაღ, კურდღელო! აჰა შენ ნამცხვარი, — ეუბნება ბიძია დუროვი და ნამცხვარს აჭმევს გულად ცხოველს.

შემდეგ ისევ თავიდან იწყება თამაში, და ასე გრძელდება მანამ, სანამ კურდღელი კარგად არ ისწავლის დოლის დაკვრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, თვითონ ბიძია დუროვს შეეძლო ქონდა შეუმჩნევლად დოლი კურდღლის თავთან და მერე ისევ უკან გასწევდა, როდესაც კურდღელი დოლს მიაშტერდებოდა. კურდღელს კი ეგონა დოლი მშიშარაა, მშიშარებს კი კურდღლებიც სცემენ!

აი უკვე მზად არის ახალი ნომერი! შეიძლება ცირკში უჩვენო, როგორ უკრავს დოლს მშიშარა კურდღელი.

ეს ადვილი სათქმელია, მაგრამ რამდენი მოთმინება და დროა საჭირო, რომ მშიშარა კურდღელი გულად მედოლედ გადააქციო!

გადმოკეთებული **ა. ბელიაევიდან.**

აქლემი და ვირი

(არაკი)

ბიჭი ერთი გასდგომოდა
ქალაქისკენ შარას გრძელსა.
გრძელი სახრით მირეკავდა
ერთს ვირსა და ერთს აქლემსა.

სიცხისაგან დალალულმა
შეაფარა თავი ჩრდილსა
და, რომ არსად გაჰპარვოდა,
გაუფრთხილდა იგი ვირსა:

თოკით კუზზე ჩამოაბა
წამოწოლილს აქლემს ვირი,
თვით წამოწვა ჩეროში და
ამოუშვა ხვრინვა ხშირი.

სძინავს... ხვრინავს ჩავლადარი.
სიო ურხევს შუბლზე ქოჩორს.
მაგრამ თქვენს მტერს, იმისთანა
დღე დაადგა საწყალ ჩოჩორს:
მოეწყინა აქლემს წოლა
და წამოდგა ნელა-ნელა.
ვირიც მაღლა აიტაცა...
არსად ხსნა და არსად შველა...
გაძღა ძილით, გაიღვიძა,
გაახილა ბიჭმა თვალი...
ნახა: ამდგარ აქლემზედა
იყო ვირი ჩამომხრჩვალი.

გ. ლომთათიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭკვიანი ცხოველები

— არის ერთი კაცი, მისი გვარი დუროვია. ბიძია დუროვს „სკოლა“ აქვს გახსნილი და ბევრი მოწაფე ყავს. მაგრამ იცით, ვინ არიან მისი მოწაფეები?

ასე უთხრა ერთ დღეს მამამ თავის ბავშვებს და თან რაღაც ჟურნალი გადაშალა.

— აი მისი მოწაფეები.

ბავშვებმა დახედეს სურათებს და გადაიკისკისეს.

მართლაც სასაცილო იყო: ღორს ღვედი ჰქონდა წელზე შემოჭერილი და ზედ კი პარაშუტი მიებათ. ღორი მაღლიდან გადმომხტარიყო, პარაშუტი გაშლილიყო და ჩვენი ღრუტუნა ნელა ეშვებოდა ძირს...

ზურა სიცილით კვდებოდა, ელო კი გაკვირვებული დასჩერებოდა ჟურნალს.

— აი, ეს გახლავთ ღორი — ავიატორი, — ღიმილით თქვა მამამ. — ბიძია დუროვმა გაწვრთნა ის და ახლა ცირკში ფაფრინავს.

— მამა, როგორ ასწავლა ღორს ფრენა? — დაინტერესდენ ბავშვები.

— გიამბობთ, გიამბობთ.

* * *

გათენდა. ბიძია დუროვი ადგა.. მალე დაიწყება გაკვეთილები მის „სკოლაში“.

დღეს დიდი სამუშაო აქვს ბიძიას: მან უნდა შეასწავლოს ღორს პარაშუტით ძირს გადახტომა მაღლობიდან.

რანაირად უნდა ასწავლო ღორს მაღალი ბაქანიდან ძირს ჩახტომა? იფიქრა, იფიქრა ბიძიამ და მოიფიქრა.

აი, ღორი უკვე ბაქანზეა ავიატორივით გამოწყობილი: წელზე ღვედი აქვს შემოჭერილი, ღვედში ბაწარია გაყრილი და ჭერში დამაგრებულ ჭალზეა გადადებული. ბაწრის ბოლო დუროვის თანაშემწეს უჭირავს. ღორი მშიერია. დუროვი მას სტაფილოს უჩვენებს. ამავე დროს მაღვიძარა საათი რეკავს. ღორი ხედავს სტაფილოს, გარბის მისკენ და... ვარდება ბაქანიდან. დუროვის თანაშემწე ბაწრით ნელ-ნელა დაუშვებს მას დაბლა. ღორის პირველი „გაფრენა“ მშვიდობიანად ჩატარდა. ღორს კვლავ ბაქანზე აყენებენ, ისევ რეკავს საათი, ისევ ხედავს ღორი სტაფილოს და ხტება ძირს. ის ეჩვევა საათის რეკვის გაგონებას და იმავ წუთს სტაფილოსთვის გადახტომას...

დიდხანს, მრავალი დღის განმავლობაში ასე წვრთნიდა ღორს ბიძია დუროვი. დღეს მან სინჯა საათის დარეკა, მაგრამ თვითონ არ გამოჩენილა და არც სტაფილო დაუნახვებია.

ღორი, ჩვეულებისამებრ, გადახტა, როგორც ი ზარის ხმა გაიგონა.

სწორედ ეს უნდოდა ბიძია დუროვს:

ახლა რომ ჰაეროვანი ბურთით მაღლა აიყვანო ძაღლი და ხუთი წუთის შემდეგ, როდესაც ბურთი უკვე მაღლა იქნება, საათმა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკოს, ღორი გადმოხტება და პარაშუტით დაეშვება.

კმაყოფილია დუროვი, ზურგზე ხელს უსვამს ღორს, უმასპინძლდება...

კმაყოფილია ღორი, კმაყოფილია დუროვიც.

— ერთი უყურე, რა ეშმაკი ყოფილა ის დუროვი! — გატაცებით უთხრა მამას ზურამ.

— აი ეს კი მომღერალი ხბოა, — განაგრძო მამამ. — გამოიყვანს ცირკში ხბოს და ეტყვის: „აბა, ჩემო ნიკორა, იმღერე!“ ხბო წაიგრძელებს კისერს და მოყვება ზმუილს.

— ხბოს როგორღა ასწავლა სიმღერა? — ღიმილით კითხულობს ბავშვი.

— როგორ და აი ასე: ხბოს შია. ბიძია დუროვს ხელში პურის ნატეხი აქვს. გაუშვერს პურს ხბოს, ხბო კისერს წაიგრძელებს, რომ მისწვდეს და შეჭამოს, მაგრამ დუროვი ხელს გამოწევს, და ხბო ნაწყენი ზმუის: „მეე“. მას კიდევ წაუშვერენ პურს და კიდევ არ მისცემენ. მაშინ ხბო უფრო ხმამაღლა ზმუის.

— კიდევ, უფრო ხმამაღლა იმღერე, ნიკორა! — ეუბნება დუროვი და წაუშვერს პურს, მერე ისევ გამოწევს ხელს.

— მეეე! — თავგამეტებით ზმუის ხბო.

— ჰო, შენ! — ასე ეტყოდა ხბოს დუროვი, ქართული რომ იცოდეს, მაგრამ რადგან არ იცის, ჭამეო — ეუბნება და მართლა აძლევს პურს. ასე იზამს ძალიან ბევრჯერ და შემდეგ რომ უპუროდ ეტყვის ხბოს აბა იმღერეო, ისიც ზმუილს იწყებს.

როდესაც ერთი განყოფილება გათავდება, გამოხტება თაგვი და დაავლებს პირს მკედს, რომელიც ჭაღზეა გადადებული, მეორე თავი კი მიბმულია კარდონზე. ამ კარდონზე წარწერაა: „ანტრაქტი“. მოწევს მკედს, და კარდონი ჩამოეკიდება:

— ანტრაქტი.

აბა, ახლა ჩვენც ანტრაქტი გავაკეთოთ, შევისვენოთ, — და წამოდგა მამა.

— მე კი ღორი მომწონს ყველაზე უფრო, — განაცხადა ელომ.

— შენც გინდა პარაშუტისტობა? აი, ტფილისშიაც აწყობენ დიდ კოშკს, 30 მეტრის სიმაღლეს. როდესაც ააგებენ, მაშინ მიაბმენ ადამიანს პარაშუტს, ადამიანი გადმოხტება, პარაშუტი გაიშლება და ნელ-ნელა დაუშვებს ძირს. გაიზრდები და შენც ისწავლი პარაშუტით ფრენას.

— ისწავლის კი არა! — წამოიძახა ზურამ და მაშინვე დაუმატა ტუჩის გადმობრუნებით: — ეგ თუ ისწავლოს, მე ვერ ვისწავლი თუ!

— შენც ისწავლი, ჩემო ბიჭო, შენც! — და მამამ გადაკოცნა მომავალი პარაშუტისტები.

ნ. ფარცხნალელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

205
ეროვნული
ბიბლიოთეკა

I 75 ბ.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და
განათლების სახალხო კომისარიატის ყურნალი
ბავშვთათვის

„ოქტომბრელი“

ყოველმა ოქტომბრელმა უნდა გამოიწეროს

ყურ. „ოქტომბრელი“

რნალ „ოქტომბრელი“-ს 1934 წლის ყველა ნომერში დაიბეჭდება საინ-
ტერესო მოთხრობები, ლექსები, ზღაპრები და გასართობები.

ყურ. „ოქტომბრელი“-ს რედაქცია.